



ფინანსური ანგარიშგება და კომპილაციის რეპორტი

შპს “ეპამ სისტემს (ჯორჯია)”

2020 წლის 31 დეკემბერი

(დოკუმენტი არის ინგლისური ორიგინალის
თარგმანი)



სარჩევი

კომპილაციის რეპორტი	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	6
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	7
1. ოპერაციების ბუნება და ზოგადი ინფორმაცია	8
2. შედგენის საფუძველი	8
2.1. განცხადება შესაბამისობის თაობაზე	8
2.2. მომზადების საფუძველი	8
2.3. საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა	8
3. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკები	8
3.1. უცხოური ვალუტა	8
3.2. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9
3.3. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9
3.4. ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	9
3.5. კაპიტალი	9
4. ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	10
5. სარეზერვო კაპიტალი	10
6. მიღებული სესხები	10
7. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11
8. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	11
9. კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/ზარალი	11

კომპილაციის რეპორტი

შპს გრანტ თორნტონ
ქეთევან წამებულის გამზირი 54
0144, თბილისი, საქართველო
ტ. + 995 322 604 406

Grant Thornton LLC
54 Ketevan Tsamebuli Avenue
0144 Tbilisi, Georgia
T + 995 322 604 406

შპს „ეპამ სისტემს (ჯორჯიას)-ს“ ხელმძღვანელობას

ჩვენ შევასრულეთ შპს „ეპამ სისტემს (ჯორჯიას)-ს“ თანმხლები ფინანსური ანგარიშგება („კომპანია“) კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემთა ბაზაში მოცემული ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც იწარმოება ჩვენს მიერ საბუღალტრო მომსახურების # ACC-923 ხელშეკრულების შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებას და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას შემდეგ დასრულებული წლისთვის, და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შეჯამებას და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

კომპილაციური გარიგება შევასრულეთ დაკავშირებული მომსახურებების საერთაშორისო სტანდარტის 4410 (გადასინჯული), „კომპილაციური გარიგებების“ შესაბამისად.

ჩვენ გამოვიყენეთ ჩვენი ცოდნა და გამოცდილება ბუღალტერიასა და ფინანსურ ანგარიშგებაში რათა დაგხმარებოდით ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო ბიზნესებისთვის (მსს ფასს) შესაბამისად მომზადებასა და წარდგენაში. გარიგების შესრულებისას დავიცავით შესაბამისი ეთიკური მოთხოვნები, მათ შორის: პატიოსნების, ობიექტურობის, პროფესიული კომპეტენციის და საქმისადმი კეთილსინდისიერი მიდგომის.

ვინაიდან კომპილაციის გარიგება არ არის მარწმუნებელი გარიგება, ჩვენ არ გამოვხატავთ აუდიტორულ მოსაზრებას ან მიმოხილვის დასკვნას იმის თაობაზე, არის თუ არა მომზადებული ეს ფინანსური ანგარიშგება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო ბიზნესებისთვის (მსს ფასს)-ის შესაბამისად.

ვახტანგ ცაბაძე
მმართველი პარტნიორი

2021 წლის 29 მარტი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ქართული ლარი	შენიშვნა	2020 წლის 31 დეკემბერი
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		-
მიმდინარე აქტივები		
გადახდილი ავანსები		9,740
გადახდილი ავანსები ბიუჯეტთან		10,597
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	4	1,179,107
სულ მიმდინარე აქტივები		1,199,444
სულ აქტივები		1,199,444
ვალდებულებები და კაპიტალი		
კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი		100
სარეზერვო კაპიტალი	5	16
დაგროვილი ზარალი		(2,797,428)
სულ კაპიტალი		(2,797,312)
ვალდებულებები		
გრძელვადიანი ვალდებულებები		
გრძელვადიანი ვალდებულებები		-
მიმდინარე ვალდებულებები		
მიღებული სესხი	6	3,931,920
დარიცხული გადასახდელი პროცენტები	6	3,387
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	7	61,449
სულ მიმდინარე ვალდებულებები		3,996,756
მთლიანი ვალდებულებები		3,996,756
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		1,199,444

30.09.2021

სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

ქართული ლარი	პერიოდი 2020 წლის სექტემბრიდან 2020 წლის დეკემბრამდე
შემოსავალი	-
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	
ხელფასის ხარჯები	(198,019)
საპენსიოს ხარჯები	(53,538)
ბონუსები	(2,478,899)
იჯარის და კომუნალურების ხარჯები	(9,273)
სხვა ხარჯები	(712)
მცირე ღირებულების მარაგები	(764)
საკონსულტაციო ხარჯები	(7,198)
საგადასახადო ხარჯები	(102)
მოწყობილობები 1000 დოლარის ქვემოთ	(40,582)
საბანკო მომსახურების ხარჯები	(9,617)
სულ საოპერაციო ხარჯები	(2,798,704)
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან	(2,798,704)
ფინანსური ხარჯები	(3,386)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	<u>8</u> 7,326
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/ზარალი	<u>9</u> (2,664)
მოგება გადასახადამდე	(2,797,428)
საშემოსავლოს გადასახადის ხარჯი	-
წმინდა მოგება პერიოდისთვის	(2,797,428)
სხვა სრული შემოსავალი	-
სულ სხვა სრული შემოსავალი პერიოდისთვის	(2,797,428)

30.09.2020

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

ქართული ლარი	გაუნაწილებელი მოგება	საწესდებო კაპიტალი	სარეზერვო კაპიტალი	სულ კაპიტალი
2020 წლის სექტემბრის მდგომარეობით	-	-	-	-
ზარალი პერიოდისთვის	(2,797,428)	-	-	(2,797,428)
სულ სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	(2,797,428)			(2,797,428)
საწესდებო კაპიტალის ავტორიზებული ზრდა	-	100	16	116
ტრანზაქციები მფლობელებთან	-	-	-	
2020 წლის დეკემბრის მდგომარეობით	(2,797,428)	100	16	(2,797,312)

ხელმოწერა

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

ქართული ლარი	პერიოდი 2020 წლის სექტემბრიდან 2020 წლის დეკემბრამდე
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	
წლის მოგება	(2,797,428)
კორექტირება შემდეგ ნაწილებში:	
ფინანსური ხარჯები	3,386
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/ზარალი	2,664
	(2,791,378)
ცვლილებები გადახდილ ავანსებში	(9,740)
ცვლილებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	59,263
ცვლილებები გადახდილ ავანსებში ბიუჯეტთან	(10,806)
წმინდა ფულადი ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან	(2,752,661)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	-
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	
შემოსავალი საწესდებო კაპიტალის გამოშვებიდან	100
სარეზერვო კაპიტალის გაზრდა	16
შემოსავლები სესხებიდან	3,973,800
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	3,973,916
წმინდა ფულადი ნაკადების ზრდა	1,221,255
უცხოური ვალუტის ეფექტი ფულზე ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	(42,148)
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე პერიოდის დასაწყისში	-
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე პერიოდის ბოლოს	1,179,107

ჯედი სიუა

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ოპერაციების ბუნება და ზოგადი ინფორმაცია

შპს ეპამ სისტემს (ჯორჯია) (კომპანია) დარეგისტრირდა 2020 წლის ოქტომბერში როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანიამ 2020 წლის 19 ნოემბერს მიიღო „საერთაშორისო კომპანიის სტატუსი“ საქართველოს მთავრობისგან.

შპს ეპამ სისტემს (ჯორჯიას)-ს რეგისტრაციის მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ფერდობი ნუცუბიძე, მიკრო/რაიონი II, კვარტალი I, კორპუსი 1ა,ბ. N24.

კომპანიის 100% იანი წილის მფლობელია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ეპამ სისტემს ინკ., 3604150 /აშშ/, 18.12.2002, ეს კომპანია დაარსებული და რეგისტრირებულია აშშ-ში.

2020 წლის განმავლობაში კომპანიაში თანამშრომლების რაოდენობა იყო 33 ადამიანი.

2. შედგენის საფუძველი

2.1. განცხადება შესაბამისობის თაობაზე

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო ბიზნესებისთვის (მსს ფასს) ძირითადი მოთხოვნების შესაბამისად.

2.2. მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტებისა, რომლებიც წარმოდგენილია მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულებით. თითოეული კატეგორიის აქტივებისა და ვალდებულებების შეფასების დეტალები წარმოდგენილია ამ შენიშვნებში.

2.3. საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი“), რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, ვინაიდან ეს ვალუტა საუკეთესოდ ასახავს კომპანიის ძირითადი მოვლენებისა და ტრანზაქციების ეკონომიკურ სუბსტანციას.

ეს ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში. ქართულ ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია ლარამდე.

3. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკები

3.1. უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ოპერაციები ფუნქციონალური ვალუტის გარდა სხვა ვალუტაში აღირიცხება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ტრანზაქციის თარიღების მოქმედი გაცვლითი კურსით. ყოველი ანგარიშგების თარიღისთვის უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი ერთეულები გადაითარგმნება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ანგარიშგების თარიღის მოქმედი კურსით, რაც 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 3,2766 ლარს 1 აშშ დოლარზე და 4,0233 ლარს 1 ევროზე. არა-ფულადი ერთეულები არ არის გადათარგმნილი და ფასდება ისტორიული ღირებულებით (გადათარგმნილი ტრანზაქციის თარიღის გაცვლითი კურსის გამოყენებით), გარდა სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული არაფულადი მუხლებისა, რომლებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, რომლებიც გადათარგმნილია თარიღის მოქმედი კურსით. როდესაც განისაზღვრა რეალური ღირებულება.

სავალუტო სხვაობები, რომლებიც წარმოიქმნება ფულადი სახსრების ანგარიშსწორებისა და ხელახალი თარგმნის შედეგად, შედის პერიოდის მოგება-ზარალში.

3.2. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანიას არ დაუწყია აქტიური ოპერირება 2020 წლის პერიოდისთვის. ვინაიდან კომპანიას არ ჰყავს კონტრაქტორები, მას არ აქვს რაიმე დებიტორული მოთხოვნა 2020 წლის პერიოდისთვის.

3.3. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები აისახება რეალური ღირებულებით და შემდგომში აისახება ამორტიზებული ღირებულებით.

3.4. ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე

საბანკო ნაშთები მოიცავს საბანკო ანგარიშებს.

ფულადი სახსრების ნაკადების ანგარიშგების მიზნით, ფულადი სახსრების ეკვივალენტები არის მოთხოვნამდე დეპოზიტები, სხვა მოკლევადიანი, მაღალიკვიდური ინვესტიციებთან ერთად, რომლებიც ადვილად კონვერტირებადია ფულადი სახსრების ცნობილ ოდენობებში და რომლებიც ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი სახსრების ეკვივალენტები ინახება მოკლევადიანი ფულადი ვალდებულებების შესასრულებლად და არა საინვესტიციო ან სხვა მიზნებისთვის. კომპანია აკლასიფიცირებს ინვესტიციებს ფულადი სახსრების ეკვივალენტად, თუ ის ადვილად კონვერტირებადია ნაღდი ფულის ცნობილ ოდენობაზე და ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

3.5. კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებას.

ყველა ტრანზაქცია მფლობელებთან ცალკე აღირიცხება კაპიტალში.

დივიდენდები აღიარებულია ვალდებულებად იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადებულია.

დაგროვილი მოგება/(ზარალი) მოიცავს ყველა მიმდინარე და წინა პერიოდის გაუნაწილებელ მოგებას/(ზარალს).

4. ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე

ქართული ლარი	2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ფული საბანკო ანგარიშებზე ეროვნულ ვალუტაში	10,783
ფული საბანკო ანგარიშებზე უცხოურ ვალუტაში	1,168,324
სულ ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	1,179,107

5. სარეზერვო კაპიტალი

ქართული ლარი	2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
სარეზერვო კაპიტალი	16
სულ სარეზერვო კაპიტალი	16

ეპამ სისტემს ინკ., 3604150 /აშშ/, 18.12.2002-ის დადგენილებით, რომელიც თარიღდება 2020 წლის 24 სექტემბრით შპს ეპამ სისტემს (ჯორჯიას)-ს საწესდებო კაპიტალი განისაზღვრა 100 ლარის ოდენობით, თუმცა ფაქტობრივად მიღებულმა თანხამ შეადგინა 116 ლარი. მენეჯმენტის გადაწყვეტილებით, სხვაობა განსაზღვრულ საწესდებო კაპიტალსა (100 ლარი) და მიღებულ საწესდებო კაპიტალის ოდენობას (116 ლარი) შორის გადარიცხა კაპიტალის რეზერვში 16 ლარის ოდენობით.

6. მიღებული სესხები

ქართული ლარი	2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
მიღებული სესხი	3,931,920
დარიცხული პროცენტი	3,387
სულ მიღებული სესხი	3,935,307

სესხი	გამსესხებელი	თანხა დოლარში	ხელშეკრულების თარიღი	დაფარვის ვადა	წლიური განაკვეთი
სესხი1	შპს ეპამ სისტემს კვიპროსი	1,200,000	07.12.2020	07.06.2021	1.25738%

კომპანიამ სესხის დაფარვის თარიღად განსაზღვრა 2021 წლის 7 ივნისი. შესაბამისად ეს სესხი განისაზღვრება როგორც მოკლევადიანი სესხი.

კომპანიამ სესხი 1 200 000 აშშ დოლარის ოდენობით 2020 წლის 7 დეკემბერს მიიღო. ხელშეკრულების თანახმად, კომპანიამ სესხის თანხა უნდა დააბრუნოს სესხის ვადის გასვლამდე. 2020 წლის განმავლობაში სესხის და მისი ძირითადი პროცენტის დაფარვა არ ყოფილა.

7. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ქართული ლარი	2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
სავაჭრო ვალდებულებები	61,413
სხვა ვალდებულებები	36
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	61,449

მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოშობილი ვალდებულებები 2020 წლის მდგომარეობით ასახავს დაახლოებით 5 კრედიტორის საკრედიტო ვალდებულებებს. კრედიტორის ვალის დაფარვა დადგენილი არ არის.

8. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი

ქართული ლარი	პერიოდი 2020 წლის სექტემბრიდან 2020 წლის დეკემბრამდე
ვალდებულების გამოქვითვა	7,200
საშემოსავლო გადასახადის სუბსიდია	126
სულ სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	7,326

ვალდებულების გამოქვითვა- დეკემბრის იჯარის თანხის გადახდა მოხდა სადებეტო ბარათიდან, რომელიც ეკუთვნის ეპამ სისტემს ინკ., 3604150 /აშშ/, 18.12.2002-ს. მხარეებს შორის ხელშეკრულების თანახმად, ეპამ სისტემს ინკ., 3604150 /აშშ/, 18.12.2002-მა არ მოითხოვა გადახდილი თანხის დაბრუნება ამ ბარათზე, შესაბამისად ეს თანხა აღიარებულ იქნა არასაოპერაციო შემოსავალად შპს ეპამ სისტემს (ჯორჯია)-სთვის.

საშემოსავლო გადასახადის სუბსიდია- საქართველოს მთავრობის დადგენილების თანახმად, რომელიც ეხება საშემოსავლო გადასახადის სუბსიდიას, დამსაქმებელს უფლება აქვს არ გადაიხადოს საშემოსავლო გადასახადი, თუ დასაქმებულის გროსი ხელფასი არ აღემატება 750 ლარს (გროსი) და თუ გროსი ხელფასის ოდენობა 1500 ლარამდეა (გროსი) გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი შეიძლება შემცირდეს 750 ლარამდე.

სუბსიდირების პროგრამა ძალაშია 2020 წლის დეკემბრიდან 2021 წლის მაისამდე. ამ პროგრამის მიხედვით, შპს ეპამ სისტემს (ჯორჯია)-ს დააკლდა გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი 126 ლარის ოდენობით.

9. კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/ზარალი

ქართული ლარი	პერიოდი 2020 წლის სექტემბრიდან 2020 წლის დეკემბრამდე
ფინანსური აქტივების ამორტიზებული ღირებულება	39,484
ფინანსური ვალდებულებების ამორტიზებული ღირებულება	(42,148)
სულ მოგება/ზარალი წმინდა კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/ზარალი-დან	(2,664)